

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიზანია სასწავლო საქმიანობის სწორად დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და შესაბამისი ღონისძიების გატარება.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს „პროფესიული განათლების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის, შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ შინაგანაწესის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბრძანებების, გადაწყვეტილებებისა და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს და ადმინისტრაციის წინაშე წარადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების წესს; სასწავლო პროცესის თვითშეფასების კითხვარებს.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ნერგავს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს და აკეთებს თვითშეფასებას.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან, ბიზნეს–პარტნიორებთან, დამსაქმებლებთან, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს სასწავლებლის დირექტორი.
7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.

- 2.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლებელში სწავლების ხარისხის სრულყოფას.

2.2. სამსახურის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება კოლეჯის სასწავლო მუშაობა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის სისტემატური შეფასება და მიზნობრივი პროცედურების შემუშავება.

2.3. შეიმუშავებს კითხვარებს სასწავლებელში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაფასებლად, რომელიც შეეხება სასწავლო კურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და სასწავლო პროცესს.

2.4. სამსახური ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი სრულყოფისათვის, პერიოდულად აწარმოებს სასწავლო პროცესისა და მატერიალური რესურსის მონიტორინგს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის.

2.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროფესიულ მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

2.6. აწყოფს პროფესიული მასწავლებლებისათვის საკონსულტაციო-მეთოდური შეხვედრებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შემოღებისა და დანერგვისათვის.

2.7. ორგანიზებას უკეთებს პროფესიულ სტუდენტთა ინტელექტუალური, პროფესიული და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებათა მოწყობას (კონფერენციები, მრგვალი მაგიდა, დისკუსია, ექსკურსია და სხვა)

2.8. ამზადებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესისათვის თვითშეფასებას;

2.9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების (კურსების აქტუალურობის, ხანგრძლივობის, სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის ხარისხის, მიღწეული შედეგის) განსაზღვრის მიზნით ატარებს სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვას.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის მიზნები

3.1. კოლეჯში პროფესიული სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად თანამშრომლობა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროსთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან.

3.2. ავტორიზაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება, საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა; ყოველწლიურად თვითშეფასების განხორციელება და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება.

- 3.3. ორგანიზებას უწევს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის შიდა მარეგულირებელი სტანდარტების შემუშავებას და წარუდგენს დასამტკიცებლად დირექტორს.
- 3.4. საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებს მათ პერიოდულ მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
- 3.5. თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს შიდა ნორმატიულ დოკუმენტაციას;
- 3.6. უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.
- 3.7. ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი მოვალეობები

- 4.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასების განხორციელება;
- 4.2 პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა;
- 4.3 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდების მოდიფიცირება სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე და შეფასების სწორი გამოყენების მონიტორინგი;
- 4.4. თვითშეფასების პროცესისათვის შესაბამისი კითხვარების შემუშავება;
- 4.5. თვითშეფასების პროცესის განხორციელება.

მუხლი 5. სტრუქტურა და საშტატო განრიგი:

- 5.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საშტატო განრიგი შემოიფარგლება 1 შტატით: სამსახურის უფროსი.
- 5.2. კონკრეტული პროექტების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაძლებელია მოკლევადიანი კონტრაქტების საფუძველზე აიყვანოს დამატებითი პერსონალი.

მუხლი 6. სამსახურის ხელმძღვანელობა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

- 6.1. უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულებას;
- 6.2. წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას, შეიმუშავებს სამსახურის საქმიანობის პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

- 6.3. უზრუნველყოფს სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოების ექსპერტიზას;
- 6.4. უზრუნველყოფს მისაღებ კონტინგენტთან, პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებას (ღია კარის დღის უზრუნველყოფა);
- 6.5. უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებთან ურთიერთობას;
- 6.6. უზრუნველყოფს კოლეჯის ვებ-გვერდზე განსათავსებელი შესაბამისი ინფორმაციის დროულ მომზადებასა და განთავსებას.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულ ანგარიშს წარუდგენს დირექტორს .
3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი კოლეჯის ყველა სტრუქტურისთვის, რომელთა შესრულება წარმოადგენს კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების წარმატებული განხორციელების წინაპირობას.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით- ამტკიცებს დირექტორი.